



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #009/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თინათინ ჯაჯანიძე (სტუდენტი)

შეკითხვა:

პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატი „დ“ აწარმოებდა სამოქალაქო საქმეს, სადაც წარმოადგენდა ერთ მოსარჩელეს. აღნიშნული საქმე გაერთიანდა სხვა მსგავსი კატეგორიის საქმესთან, სადაც მონაწილეობდა 12 მოსარჩელე, მათ წარმოადგენდა ადვოკატი „პ“. პირველ ინსტანციაში საქმის დასრულების შემდეგ, სააპელაციო საჩივრების შეტანის ეტაპზე, ადვოკატ „დ-ს“ დაუკავშირდა მითითებული საქმის 4 მოსარჩელე, რომლებსაც ადვოკატი „პ“ იცავდა. მათ უთხრეს, რომ თავის ადვოკატთან ვერ შეთანხმდნენ მომავალში ურთიერთობის ჰონორარზე, რამაც გამოიწვია ურთიერთობის დაძაბვა და შესაბამისად, სურვილი აქვთ შემდგომ ინსტანციებში საქმის წარმოება მიანდონ მას. პოტენციურ კლიენტებს ადვოკატმა „დ-მ“ განუმარტა, რომ მათ ჯერ უნდა დაესრულებინათ ურთიერთობა წინა ადვოკატთან და შემდგომ შეძლებდა მათთან შეთანხმებას. ასევე მათ ქმედებებს არ უნდა მოჰყოლოდა ადვოკატ „პ-სთან“ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ადვოკატ „დ-ს“ დაუკავშირდა ადვოკატი „პ“, რომელმაც უთხრა, რომ კლიენტებთან უთანხმოება ჰონორარის საკითხს ეხებოდა, თანაც უხეშად დასძინა, რომ „ისე არ გააკეთო, რომ ეთიკის კოდექსი დაგერღვეს“. ამ სიტყვებზე, ადვოკატმა „დ-მ“ უპასუხა, რომ ყველა პრინციპს დაიცავდა და პოტენციურ კლიენტებთან სამართლებრივი ურთიერთობის გადაწყვეტილების მიღებისთანავე მასაც დაუკავშირდებოდა, როგორც კოლეგას. ამ შემთხვევაში, ხომ არ დაარღვევს ადვოკატი „დ“ ეთიკის კოდექსს, თუ ზემოაღნიშნულ 4 ფიზიკურ პირს გაუწევს იურიდიულ მომსახურებას და წარადგენს მათ ინტერესებს სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში.

ანალიზი:

ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს რეალურ ფაქტებზე თავის რეკომენდაციაში, რადგან დებულების შესაბამისად, შეკითხვა უნდა აღწერდეს ჰიპოთეტურ ფაქტებს, შესაძლო ქმედებას და არ შეიცავდეს ინფორმაციას კონკრეტულ პირზე. ეთიკის კომისია მოყვანილ ჰიპოთეტურ ფაქტებში ვერ ხედავს კოლეგიალობის მარეგულირებელი ნორმების შესაძლო დარღვევას ადვოკატ დ-ს მხრიდან. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთ საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა, თუ აღნიშნული კლიენტების ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება. შეკითხვაში აღნიშნული ჰიპოთეტური ფაქტებიდან ჩანს, რომ თანამოსარჩელეთა შორის ინტერესთა დაპირისპირება ამჟამად არ არის. საკმარისი ჰიპოთეტური ფაქტები არ არის მოყვანილი იმ საკითხის შესაფასებლად, არსებობს თუ არა თანამოსარჩელეთა შორის მომავალში ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. ამ რეკომენდაციის მიზნებისთვის კომისია მხოლოდ ხაზს უსვამს იმ ცნობილ გარემოებას, რომ ადვოკატის შესაფასებელია ინტერესთა კონფლიქტის დადგომის საფრთხე და მისი დადგომის ალბათობა. თუ ინტერესთა კონფლიქტი შემდგომში წარმოიშვა, ადვოკატი იძულებული იქნება

¹ <https://gba.ge/pdf/5e28058d3cd58.pdf/009.19%20werilobiti%20rekomendacia%2022.11.19.pdf>

უარი თქვას როგორც პირველი, ასევე შემდგომში შეძენილი კლიენტების ინტერესების დაცვაზე სასამართლო დავაში. იმ პირობებში, როდესაც წარმომადგენლობის შეწყვეტა ხორციელდება პროფესიული მოვალეობების დაცვის წესებით, აღნიშნული არ წარმოადგენს პროფესიული ვალდებულებების დარღვევას, თუნდაც პირველი კლიენტი ურთიერთობის შეწყვეტის წინააღმდეგი იყოს. თუ თანამოსარჩელებს შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან ასეთი კონფლიქტის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე, ადვოკატს შეუძლია წარმოადგინოს რამდენიმე ან ყველა მოსარჩელის ინტერესები. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. აპეკ-ში 08.12.2012-მდე შეტანილ ცვლილებებზე მითითებული იყო „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტი, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას ამ კლიენტისთვის კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების“ (15.04.2006 რედაქცია). აღნიშნული ნორმა გაუქმდა, რადგან მისი შესრულების შედეგად ადვოკატს შეეძლო დაერღვია კონფიდენციალობის პრინციპი. კლიენტის მიმართ ვალდებულებებს კი უპირატესი ძალა აქვს კოლეგიალობის პრინციპთან მიმართებით. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების არსია კონკრეტული საქმის წარმოებისას ადვოკატის მიერ არ მოხდეს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ან გამოყენება სხვა კლიენტის სასარგებლოდ. ადვოკატის დაპირება, რომ პოტენციურ კლიენტებთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისთანავე ის დაუკავშირდება მისი კლიენტების ყოფილ ადვოკატს, პრობლემურია მისი განხორციელების შემთხვევაში. ის რომ კლიენტებმა მიმართეს ადვოკატს და ადვოკატი დათანხმდა მათთვის რჩევის მიცემას, შესაძლოა წარმოადგენდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას. რადგან საქმე სასამართლოში იხილება, გარკვეულ ეტაპზე, მაგ, ღია სასამართლო პროცესი, ადვოკატის ჩართვა გახდება საჯაროდ ფაქტი. თუმცა ამ ეტაპამდე კლიენტს შესაძლებელია ამ ფაქტის კონფიდენციალურად შენახვა სურდეს. ადვოკატი „კ“ შესაძლოა არღვევდეს კონფიდენციალობის პრინციპს, რადგან ჰონორარის ოდენობა მისი გადახდის საკითხები და თუნდაც ის ფაქტი, რომ კლიენტი არ უხდის ჰონორარს ადვოკატს, კონფიდენციალურია. მისი გამჟღავნება შეიძლება მხოლოდ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას და შესაბამის ფარგლებში. თუმცა ადვოკატ „კ-ს“ ქმედების შეფასება ცდება შეკითხვის ფარგლებს და ამიტომ კომისია არ ჩაუღრმავდება ამ საკითხს.

დასკვნა:

ადვოკატს შეუძლია წარმოადგინოს სასამართლოში რამდენიმე მოსარჩელე, თუ მათ შორის არ არის ინტერესთა კონფლიქტი და არც მისი წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხეა. ადვოკატის მხრიდან დაპირება, რომ ის მიაწვდის კლიენტის ყოფილ ადვოკატს მისი საქმეში ჩართვის შესახებ ინფორმაციას, შესაძლებელია ქმნიდეს კონფიდენციალობის დარღვევის რისკს, თუ კლიენტმა მას მოსთხოვა საქმეში ჩართვის თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა, სასამართლო განხილვის ან სხვა ღია საპროცესო მოქმედების განხორციელებამდე.